სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

გადაწყვეტილება №გ-1/214/2021

განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **21/06/2021**

განმცხადებელი:

მოთხოვნა: მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევაზე რეაგირება.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს (შემდგომში - სამსახური) 2021 წლის 22 აპრილს №SIS 6 21 00008772 განცხადებით მომართა განმცხადებლის მითითებით, მას შემდეგ, რაც იგი დარეგისტრირდა ვებგვერდებზე - www.viptrade.ge და www.viptrade.eu, 2021 წლის 06 აპრილს მისი ელექტრონული ფოსტიდან - გააგზავნა შეტყობინება შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე - info@viptrade.eu და info@viptrade.ge, რეგისტრირებული ანგარიშების გაუქმების და მისი პერსონალური მონაცემების წაშლის მოთხოვნით. მისივე განმარტებით, საპასუხო შეტყობინება კომპანიებისგან არ მიუღია, ხოლო 2021 წლის 22 აპრილს ზემოაღნიშნულ ვებგვერდებზე კვლავ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ფოტომასალა.

ვინაიდან კანონით დადგენილ ვადაში ვებგვერდების მმართველი კომპანიების მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი მისი მოთხოვნის შესრულება, განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის მხრიდან აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირება.

სახელმწიფო ინსპექტორის 2021 წლის 28 აპრილის №გ-1/124/2021 გადაწყვეტილებით 2021 წლის 22 აპრილის №SIS 6 21 00008772 განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად. განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და პერსონალური მონაცემების (შემდგომში - მონაცემები) დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №SIS 3 21 00009408 წერილით შპს (შემდგომში - კომპანია) გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

კომპანიის 2021 წლის 06 მაისის №SIS 4 21 00009959 საპასუხო წერილის, 2021 წლის 11 და 16 ივნისს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა შემდეგი:

- ✓ კომპანია წარმოადგენს ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიას *(შენიშვნა: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 17 აპრილის №47 განკარგულების თანახმად, კომპანიას მიენიჭა საბროკერო საქმიანობის ლიცენზია);*
- ✓ ელექტრონული ფოსტა - info@viptrade.ge წარმოადგენს კომპანიის მფლობელობაში არსებულ ელექტრონული ფოსტის მისამართს;
- ✓ განმცხადებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე - www.viptrade.ge რეგისტრაცია განხორციელდა 2021 წლის 06 აპრილს, რა დროსაც ელექტრონულად დაეთანხმა ვებგვერდზე არსებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად: „კლიენტი თანხმობას აცხადებს, რომ კომპანიის პროდუქტებით მომსახურების შესახებ განაცხადის შევსებისას, შემდგომში ხელშეკრულების გაფორმებისას, მის მიერ კომპანიისათვის მიწოდებული ან/და კომპანიის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის მოპოვებული კლიენტის მონაცემები დაამუშავოს...“ ამავე ხელშეკრულების მე-19 მუხლის თანახმად, კომპანია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს კლიენტის პერსონალური მონაცემების დაცვას. ასევე, კლიენტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს კლიენტის პერსონალური მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული. კლიენტის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში კომპანია გაასწორებს, განაახლებს, დაამატებს, დაბლოკავს, წაშლის ან გაანადგურებს მონაცემებს ან აცნობებს კლიენტს უარის თქმის საფუძველს. კლიენტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში და მის შესაბამისად, კომპანია ვალდებული იქნება შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი;
- ✓ კომპანია ამუშავებს განმცხადებლის შემდეგ მონაცემებს: სახელი, გვარი, ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, მოქალაქეობა, დოკუმენტის გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი, შემოსავლის წყარო, საქმიანობა/ბიზნესის სფერო, პოლიტიკურად აქტიური *(შენიშვნა: იგულისხმება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პოლიტიკურად აქტიური პირი)* არის თუ არა პირი, არის თუ არა პოლიტიკურად აქტიურ პირთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი და/ან ოჯახის წევრი. კომპანიის მიერ განმცხადებლის მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტები;
- ✓ 2021 წლის 06 აპრილს განმცხადებელმა ელექტრონული ფოსტიდან - კომპანიის ელექტრონულ ფოსტაზე - info@viptrade.ge განცხადებით მიმართა კომპანიას მისი ანგარიშის და მასთან დაკავშირებული მონაცემების წაშლის მოთხოვნით;
- ✓ კომპანიის მიერ განმცხადებლის მოთხოვნაზე რეაგირება განხორციელდა 2021 წლის 29 აპრილს, კერძოდ, დაიხურა ანგარიში, რაც ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელი, ვებგვერდის მეშვეობით, მისი ანგარიშიდან ვეღარ განახორციელებს

უფლებამოსილი პირის მიერ 2021 წლის 21 ივნისს სამსახურის იურიდიულ მისამართზე შედგა №000214 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

სამოტივაციო ნაწილი

1. *კომპანიის მიერ განმცხადებლის ინფორმირების წესების დარღვევა.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის „ა", „დ", „ვ" და „ი" ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. მონაცემთა დამუშავებას წარმოადგენს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. მონაცემთა სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება. საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას არის მონაცემთა დამმუშავებელი.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ განმცხადებელი 2021 წლის 06 აპრილს დარეგისტრირდა კომპანიის ვებგვერდზე. შესაბამისად, კომპანია ამუშავებს განმცხადებლის, როგორც მომხმარებლის, შემდეგ მონაცემებს: სახელი, გვარი, ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, მოქალაქეობა, დოკუმენტის გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი, შემოსავლის წყარო, საქმიანობა/ბიზნესის სფერო, პოლიტიკურად აქტიური არის თუ არა პირი, არის თუ არა პოლიტიკურად აქტიურ პირთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი და/ან ოჯახის წევრი. ამდენად, კანონის მე-2 მუხლის „ა", „დ", „ვ", და „ი" ქვეპუნქტების თანახმად, სახეზეა მონაცემთა სუბიექტის - განმცხადებლის მონაცემების დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებლის - კომპანიის მიერ.

კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, მათ შორის, თუ: არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად და სხვა.

მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ განმცხადებელი 2021 წლის 06 აპრილს დარეგისტრირდა კომპანიის ვებგვერდზე და მომსახურების მიღების მიზნით დაეთანხმა

ვებგვერდზე არსებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებას. შესაბამისად, კომპანია, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, განმცხადებლის მონაცემებს ამუშავებდა მისთვის მომსახურების გასაწევად.

კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად კი, ამ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი. საგულისხმოა, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულება, რომელსაც განმცხადებელი ვებგვერდზე რეგისტრაციის დროს ელექტრონულად დაეთანხმა, ითვალისწინებდა კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ 2021 წლის 06 აპრილს განმცხადებელმა ელექტრონული ფოსტიდან - ელექტრონულ ფოსტაზე - info@viptrade.ge განცხადებით მიმართა კომპანიას მისი ანგარიშისა და მონაცემების წაშლის მოთხოვნით. შესაბამისად, კომპანიას წარმოეშვა ვალდებულება 2021 წლის 07 აპრილიდან 2021 წლის 21 აპრილის ჩათვლით პერიოდში უზრუნველეყო განმცხადებლის მონაცემების წაშლა ან განმცხადებლისთვის ეცნობებინა მისი მონაცემების წაშლაზე უარის თქმის საფუძველი. კომპანიამ 2021 წლის 29 აპრილს დახურა ანგარიში და იმავე დღეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობა, რომ მისი მოთხოვნა იყო მიღებული და კომპანია მას გაითვალისწინებდა. კომპანიის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კომპანიას განმცხადებლის მონაცემები არ წაუშლია, ვინაიდან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 05 ივნისის 145/04 ბრძანების თანახმად, კომპანია ვალდებულია ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტი, ჩანაწერი და ისტორია შეინახოს 6 წლის ვადით. განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიას არ მოუხდენია განმცხადებლის ინფორმირება მისი მონაცემების წაშლაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ.

განცხადების განხილვის ფარგლებში დგინდება, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 17 აპრილის №47 განკარგულების თანახმად, კომპანიას მიენიჭა საბროკერო საქმიანობის ლიცენზია. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 05 ივლისის №145/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის“ მე-11 მუხლის თანახმად, საბროკერო კომპანია ვალდებულია აწარმოოს კლიენტის სახსრებისა და აქტივების განცალკევებულად აღრიცხვა როგორც კომპანიის, ისე სხვა კლიენტების სახსრებისა და აქტივებისგან. ასევე, საბროკერო კომპანიამ უნდა აწარმოოს და დროულად განაახლოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ჩანაწერები, კერძოდ: დოკუმენტაცია კლიენტის ანგარიშების შესახებ,

რომელშიც თითოეული კლიენტის ანგარიშზე ყოველდღიურად უნდა იქნეს ასახული ყველა შესრულებული გარიგება. ამასთან, კლიენტების ანგარიშებზე ასახული ოპერაციები საშუალებას უნდა იძლეოდეს კლიენტს ჰქონდეს ინფორმაცია ყველა განხორციელებული ტრანზაქციის დეტალების შესახებ. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე საბროკერო კომპანიამ უნდა განახორციელოს ჩანაწერების და ანგარიშების წარმოება იმ სახით, რომ უზრუნველყოს მათი სიზუსტე და სისრულე. ჩანაწერები უნდა იყოს შენახული ისეთი სახით, რომ შესაძლებელი იყოს ყველა შეტანილი ცვლილების, ცვლილებამდელი ჩანაწერის, ცვლილების თარიღისა და ცვლილების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის ნახვა. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლში განსაზღვრული დოკუმენტაცია და ჩანაწერები (მათ შორის, ინფორმაცია სავაჭრო პლატფორმაზე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ) შესაძლებელია არსებობდეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით და საბროკერო კომპანიამ მათი შენახვა უნდა უზრუნველყოს მინიმუმ 6 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად განმცხადებლის მოთხოვნისა - კომპანიის მონაცემთა ბაზიდან წაშლილიყო მისი მონაცემები, კომპანიას გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი არ დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის მოთხოვნა და არ წაეშალა მისი მონაცემები. თუმცა, ცალსახაა, რომ კომპანიამ არ შეასრულა კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება - მონაცემთა სუბიექტისთვის ეცნობებინა მისი მონაცემების წაშლაზე უარის თქმის საფუძველი მიმართვიდან 15 დღის ვადაში (2021 წლის 21 აპრილის ჩათვლით). შესაბამისად, კომპანიის მხრიდან ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების დარღვევას, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. ვინაიდან კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი სახდელის სახით ითვალისწინებს გაფრთხილების ან ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას, პასუხისმგებლობის კონკრეტული ფორმის განსაზღვრისას სახელმწიფო ინსპექტორი ითვალისწინებს, რომ კომპანია წარსულში არ ყოფილა ცნობილი სამართალდამრღვევად და

მიზანშეწონილად მიიჩნევს კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული ადმინისტრაციული სახდელებიდან მისთვის გაფრთხილების შეფარდებას.

დამატებით გასათვალისწინებელია, რომ მომავალში მონაცემთა სუბიექტის უფლებების სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტისთვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება, იმგვარად, რომ ამ უკანასკნელს აძლევდეს მკაფიო ინფორმაციას მისი მონაცემების წაშლაზე უარის თქმის საფუძვლ(ებ)ის შესახებ.

2. *ვებგვერდის - www.viptrade.eu მეშვეობით განმცხადებლის მონაცემების დამუშავება.*

კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება მონაცემთა იმ დამმუშავებლის საქმიანობაზე, რომელიც რეგისტრირებული არ არის საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მონაცემთა დამუშავებისათვის იყენებს საქართველოში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ტექნიკური საშუალებები გამოიყენება მხოლოდ მონაცემთა ტრანზიტისათვის. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა დანიშნოს/განსაზღვროს საქართველოში რეგისტრირებული წარმომადგენელი.

გამცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ის ასევე დარეგისტრირდა ვებგვერდზე - www.viptrade.eu და რეგისტრაციის შემდგომ 2021 წლის 06 აპრილს მისი ელექტრონული ფოსტიდან - გააგზავნა შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@viptrade.eu, რეგისტრირებული ანგარიშის გაუქმებისა და მისი პერსონალური მონაცემების წაშლის მოთხოვნით. მისივე განმარტებით, საპასუხო შეტყობინება კომპანიებისგან არ მიუღია, ხოლო 2021 წლის 22 აპრილს ზემოაღნიშნულ ვებგვერდზე კვლავ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია, რაც მიუთითებს, რომ კანონით დადგენილ ვადაში ვებგვერდის მმართველი კომპანიის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი მისი მოთხოვნის შესრულება.

სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ 2021 წლის 11 ივნისს ელექტრონული ფოსტის - info@viptrade.eu მეშვეობით გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია. 2021 წლის 17 ივნისს ელექტრონული ფოსტიდან - info@viptrade.eu მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია „LLC VIPTRADE“ ვებგვერდზე - www.viptrade.eu რეგისტრირებული მომხმარებლების მონაცემთა დამუშავებისთვის არ იყენებს საქართველოში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს, ასევე, ვებგვერდის - www.viptrade.eu მეშვეობით დამუშავებული

მონაცემები ინახება სერვერზე, რომელიც საქართველოში განთავსებული არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვებგვერდის - www.viptrade.eu მეშვეობით მონაცემთა დამმუშავებელზე (LLC VIPTRADE) კანონის მოქმედება და შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის კომპეტენცია არ ვრცელდება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-5, 22-ე, 23-ე, 50-ე და 55-ე მუხლების, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-13, მე-14 და მე-16 მუხლების და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე, 33-ე და 264-ე მუხლების საფუძველზე,

სახელმწიფო ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000214.
2. შპს ' დაევალოს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტისთვის მკაფიო და კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება მისი მონაცემების წაშლაზე უარის თქმის საფუძვლ(ებ)ის შესახებ.
3. დასრულდეს 2021 წლის 22 აპრილის №SIS 6 21 00008772 განცხადების განხილვა.
4. განმცხადებელს და შპს ' ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

ლონდა თოლორაია

სახელმწიფო ინსპექტორი